შემოსვლის თარიღი: 30/06/2021 წ

გასვლის თარიღი: 12/08/2021 წ

**დასკვნა**

ქ. ბათუმში, გოგოლის ქ. №5-ში მდებარე მოქალაქეების ეკატერინე და მანანა ბარაბაძის საკუთრებაში არსებულ 288 კვ.მ მიწის ფართობზე (ს/კ 05.30.09.036) მდებარე საცხოვრებელი სახლის ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ მისი ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ფაქტობრივად შენობა მთლიანად ამორტიზირებულია. შენობას დაზიანებები ძირითადად მიყენებული აქვს სიძველით და მოუვლელობით. როგორც ჩანს მას კაპიტალური სარემონტო სამუშაოები ექსპლუატაციის მანძილზე არ ჩატარებია. მესაკუთრეები შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ კოსმეტიკური, უხარისხოდ ჩატარებული, სარემონტო სამუშაოებით. ვინაიდან შენობის მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებს განცდილი აქვთ მაღალი ფიზიკური და ასაკობრივი ცვეთა, მისი აღდგენა-გამაგრება არარენტაბელურია და გაუმართლებლად მიგვაჩნია.

დაწვრილებით განმარტებები გაკეთებულია დასკვნის კვლევით ნაწილში.

გიორგი მარჯანიძე